„ვამტკიცებ”

საქართველოს ჯიუდოს ეროვნული
ფედერაცია

---

1 ოქტომბერი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მასტერსი - საქართველო

თბილისი

2025
22 ოქტომბერი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის ძიუდოისტები, რომელთაც მოპოვებული აქვთ ნებისმიერი სინჯის მედალი ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, ევროპულ თამაშებზე ინდივიდუალურ თუ გუნდურ შეჯიბრებებში. აგრეთვე, საქართველოს 2024 წლის ჩემპიონატის პრიზიორები, საქართველოს 2025 წლის მეორე დონის ჩემპიონატის ფინალისტები, საქართველოს 2025 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალისტები და მეორე დონის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალისტები.
- შეჯიბრებაში დაიშვებიან მხოლოდ მოქმედი ძიუდოისტები.

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრება ჩატარდება 2025 წლის 22 ოქტომბერს თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე – 21 ოქტომბერი, წასვლის დღე – 23 ოქტომმბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

რეგისტრაცია

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gjf.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. რეგისტრაცია დასრულდება 17 ოქტომბერს.
- შეჯიბრებაში დაიშვებიან მხოლოდ ის ძიუდოისტები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც რეგისტრაციის დასრულებამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 20 დეკემბერს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- შეჯიბრება ჩატარდება დამამშვიდებელი წრის გარეშე. გათამაშდება მხოლოდ I და II ადგილები.
- შეჯიბრება ჩატარდება მხოლოდ ვაჟთა შორის პირად პირველობაში 7 წონით კატეგორიაში; -60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; -90კგ; -100კგ; +100 კგ;

VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება შეჯიბრების წინა დღეს.
  არაოფიციალური 16:00 – 17:00 საათებში;
  ოფიციალური 17:00 – 18:00 საათებში;
- თითოეულ წონით კატეგორიაში დასაშვებია 2,5კგ ზედმეტი წონა.

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში I და II ადგილებზე გასული ძიუდოისტები მიიღებენ სოლიდურ ფულად ჯილდოს, შესაბამისი ხარისხის მედლებს და სიგელებს.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება და სხვა) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი, გამარჯვებულთა დაჯილდოვება და სხვა) უზრუნველყოფს საქართველოს სპორტის სამინისტრო და საქართველოს ძიუდოს ფედერაცია.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი / ფაქსი: +995322516466;
ელექტრონული მისამართი: judofedgeo@gmail.com
საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577994407

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს სპორტსმენთა მიერ მიღწეული შედეგის ანულირებაზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიმანოს ქონა.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე